საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №641

თბილისი „24“ 12 2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების და მათი შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საშუალო პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯად რეორგანიზაციისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N01/375 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 24 ოქტომბრის N01-01/138 (სამინისტროში რეგისტრაციის N1382684, 25/10/2018) წერილის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 18 დეკემბრის N1622028 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2018 წლის 24 დეკემბრიდან 2019 წლის 10 იანვრის ჩათვლით პერიოდი.

2. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა შერჩევის კრიტერიუმები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტარტეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი